ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროექტის მეთოდი უცხო ენის სწავლების პროცესში

დათიაშვილი ასმათ

სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პროექტის მეთოდზე დაფუძვნებული სწავლების მნიშვნელოვანი მხარეები. ავტორი გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებასა და კონკრეტულ შედეგებს, უცხოური ენის სწავლების პროცესში პროეტზე მუშაობით მიღწეულ უნარ-ჩვევებს.

საკვანძო სიტყვები:*პროექტზე დაფუძვნებული სწავლება ,უცხოური ენის სწავლების პროცესში პროექტზე მუშაობით მიღებული შედეგები, მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა, 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები.*

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. ამ სივრცეში ორიენტირება-ინტეგრაციისა და თვითრეალიზებისათვის კი მნიშვნელოვანია უცხოური ენების ცოდნა.განსაკუთრებით პრიორიტეტულია ინგლისური ენის ცოდნა, ვინაიდან ის მსოფლიოს მიერ საერთაშორისო ენად არის აღიარებული.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები ინგლისური ენის სწავლების დიდ სურვილს გამოთქვამენ, ისინი ნაკლები ინტერესით ეკიდებიან ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ლექსიკური მარაგის ათვისება-გამდიდრება, გრამატიკული ერთეულების გაცნობა-გაანალიზება, მოსმენილი და წაკითხული ტექსტების გააზრება ,მიღებული ინფორმაციის დახარისხება და პრაქტიკაში გამოყენება, რის შედეგადაც დაგვიანებით უყალიბდებათ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (უცხოურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველება).

მსგავსისირთულეების დასაძლევად მასწავლებელი ცდილობს ყოველთვის გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებები და სწავლების პროცესი სწორედ მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოარგოს. პედაგოგიკის ისტორიაში არსებული ღირებული გამოცდილებისა და სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისშერწყმა კისაშულებას მოგვცემს, ეფექტურად ვმართოთ საგანმანათლებლო პროცესი და მივიღოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგები.

ენის სწავლებისას ცოდნის გადაცემისა და დაუფლების პროცესი 21-ე საუკუნის ოთხი აუცილებელი უნარის განვითარებაზე გადის, ესენია: კრიტიკული აზროვნების,

ISSN 1512-1801

კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და შემოქმედებითი უნარები, მათ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საგანმანათლებლო პროექტზე დაფუძვნებულ სწავლებას.
2012-2013 სასწავლო წლის დეკემბრის დასაწყისში პროექტის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის" ფარგლებში სკოლაში მოვიდა მოხალისე ამერიკელი მასწავლებელი - ჯონათან სერნა.
ჯონათანი აქტიურად იყო ჩართული დაწყებით საფეხურზე საგაკვეთილო პროცესებში, თუმცა დროდადრო საშუალო საფეხურის მოსწავლეებთანაც ახორციელებდა შეხვედრებს. მათთან საუბარში ჯონი უამრავ კითხვას სვამდა საქართველოს ტრადიციებთან და რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებით. ის ხშირად აღნიშნავდა,რომ მის მსგავსად მეგობარი მოხალისე მასწავლებლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული კულტურისა და წეს-ჩვეულებების,ასევე ისტორიული ძეგლების მიმართ.
სწორედ აქ გაჩნდა პროექტის შექმნის იდეა. მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მოეძიებინათ და დაემუშავებინათ ის მასალები,სადაც ნათლად იქნებოდა წარმოდგენილი ჩვენი ტრადიციები და ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ამ მასალებით მოეწყოთ პრეზენტაცია დასავლეთში მყოფი უცხოელი მასწავლებლებისათვის. მომმართეს თხოვნით, დავხმარებოდი აღნიშნული დავალებების შესრულებაში.
მომეწონა იდეა,რადგან ამ პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები არამარტო გაიღრმავებდნენ ცოდნას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ განუვითარდებოდათ 21-ე საუკუნის უნარები: ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და თარგმნის, თანამშრომლობის, პროდუქციის შექმნის, მსჯელობის, პრეზენტაციის, ანალიტიკურ-კრიტიკული და შემოქმედებითი, თვითშეფასებისა და საკომუნიკაციო, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და განსხვავებულ გარემოში ინტეგრაციის უნარები. ისინი შეიძენდნენ სწორ დამოკიდებულებებს ქართული კულტურისა და ტრადიციების მიმართ.
ვინაიდან პროექტი მოსწავლეებში ზემოთაღნიშნული მთელი რიგი უნარების განვითარების საშუალებას იძლეოდა, მივიღე ჩემი მოსწავლეების გამოწვევა და საჭიროებისამებრ ვუწევდი მათ დახმარებას სხვადასხვა საკითხებზე მუშაობისას.
მოსწავლეებმა ჩემი ზედამხედველობით შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, გადაინაწილეს დავალებები და დაიწყეს პროექტზე მუშაობა.
22 იანვრიდან 20 თებერვლამდე მიმდინარეობდა მოსწავლეებს შორის აქტიური თანამშრომლობა. ისინი დასაწყისიდანვე დიდი ინტერესითა და მოტივაციით ჩაერთვნენ პროექტის განხორციელების პროცესში. ვინაიდან პროექტის მიზანი იყო საქართველოს შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდებაუცხოელი მოხალისე მასწავლებლებისათვის, პროექტს ეწოდა „ჩემი ქვეყანა"/ " My country".
პროექტი მიმდინარეობდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პროექტის იდეა გაჩნდა მოსწავლეებისაგან
2. პროექტის მონაწილეები დასაწყისშივე შეთანხმდნენ ურთიერთობის ფორმებზე.

ISSN 1512-1801

3. მოსწავლეებმა თავადვე განსაზღვრეს საქმიანობის კონკრეტულ ვადებში განხორციელების ჩარჩო და ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ ერთმანეთის შესაძლებლობების გათვალისწინებით გადაინაწილეს სამუშაოები.
4. მოსწავლეები მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებდნენ როგორც ინდივიდუალურ,ასევე ჯგუფურ ინტერესს, სწორად შეერჩიათ რესურსები შესაბამის ფოტომასალებთან ერთად და პრეზენტაცია სლაიდების საშუალებით მოეხდინათ.
5. მუშაობისას მხოლოდ მეთვაყურეობას ვუწევდი მოსწავლეებს და ვხედავდი, რომ იშვიათად იკვეთებოდა ჩემი ჩარევის აუცილებლობა.
6. მუშაობის პროცესში მოსწავლეები ახდენდნენ, როგორც თვითშეფასებას, ასევე თანაშეფასებას, რაც მათ პროექტის განხორციელებაში დიდად ეხმარებოდათ.

ერთადერთი ხარვეზი, რაც შესაძლებელი იყო ჰქონოდაპროექტს, გახლდათ ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი აქცენტით მეტყველება, რაც გარკვეულწილად უძნელდებათ მოსწავლეებს. ამ მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით მოხალისე მასწავლებელი ჩემთან ერთად სისტემატურად ავარჯიშებდა მათ წარმოთქმასა და გაბმულ მეტყველებაში. მოსწავლეებმამოიძიეს და დაახარისხეს ინფორმაცია ფოტო-მასალებთან ერთად, ჩემი დახმარებით, ლექსიკონებისა და ინტერნეტის საშუალებითთარგმნეს საბოლოოდ შერჩეული მასალები, ისტ-ის ტექნოლოგიების გამოყენებით ააწყვეს პრეზენტაციები, დაამზადესქართულ-ინგლისურენოვანი მოსაწვევი ბარათები და პროექტის პრეზენტაციაზე დაპატიჟეს საქართველოში მყოფი 10 მოხალისე მასწავლებელი, დასავლეთში TLG- ის პროგრამის კოორდინატორთან, ქალბატონ ლანა კობახიძესთან ერთად.

მოსწავლეებმა სიამაყით წარმოადგინეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ადათ-წესები და ტრადიციული კერძები, პრეზენტაციების ბოლოს უცხოელებთან ერთად იმსჯელეს აღნიშნული ძეგლების, თუ ჩვეულებების თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე, ეროვნულ სამოსსა და ფოლკლორზე, მათ მრავალფეროვნებაზე.

პროექტის დასასრულს საკუთარი აზრი გამოხატეს უცხოელმა სტუმრებმა. მათ შეაფასეს პროექტი ," მოლოდინების ხეზე" სამახსოვროდ დაგვიტოვეს საკუთარი შთაბეჭდილებებიდა სურვილი გამოთქვეს, აქტიურად ეთანამშრომლათ ჩვენს სკოლასთან.

პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ მან მოიცვა სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინები და მოსწავლეებში მოახდინა გააქტიურებული წინარე ცოდნის ტრანსფერირება, კერძოდ, შერჩეულ კულტურულ ძეგლებთან დაკავშირებით გამოიყენეს ისტორიული წყაროები,შეისწავლეს მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. პროექტი ასევე მოიცავდა აღმზრდელობით მიზნებს, რაც ხელს უწყობს მოზარდებში სამოქალაქო და სოციალური ცნობიერების ჯანსაღი ფორმით ჩამოყალიბებას, პატრიოტიზმის გრძნობის გაძლიერებას.

ბოლოს პროექტის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს თვითშეფასება, დაასკვნეს, რომ საგანმანათლებლო პროექტის საშუალებით შესაძლებელია, არამარტო ცოდნის

ISSN 1512-1801

გაღრმავება, არამედ მთელი რიგი უნარების განვითარება, რაც მათ მომავალში სოციუმში ინტეგრაციასა და დამკვიდრებაში დაეხმარებათ.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო პროექტებიმოსწავლეებში ზრდის მოტივაციას, პასუხისმგებლობას, ინტერესით განაწყობს მათ შერჩეულ საკითხებთან დაკავშირებით. ხდება მიღებული ცოდნის ტრანსფერირება, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარების განმტკიცება, საერთო ჯამში ეს ყველაფერი დადებითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე და მნიშვნელოვნად ეხმარება მასწავლებელს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების დაძლევასა და დასახული მიზნების მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კენ კეი - „ 21-ე საუკუნის განათლება და პროექტზე დაფუძვნებული სწავლება"
2. **BIE-ს(**Buck Institute for Education) ელექტრონული სტატიები